ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2308254

ნომერი: AR1355863

თარიღი : 10.11.2015

გაცემის თარიღი : 02.12.2015

გაცნობის თარიღი : 05.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თიანეთი , 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ კვირცხალია პ/ნ 01001009860
- თბილისი გლდანის დას. მამკოდის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.01.2015 წ. №1681789 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 10/11/2015 წ. #

AR1355863 განაცხადით მომართა თემურ კვირცხალიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 13.01.2015 წ. №1681789 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.01.2015 წ. №1681789 ბრძანებით, ქ. თბილისში, ქუჩა თიანეთი N8, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი. N01.11.12.018.043), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, გეგმაზე არასწორად დაფიქსირდა სადარბაზოს ფართი 7.60 კვ.მ. რამაც გამოიწვია დამხმარე და საცხოვრებელი ფართების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების არასწორად დაფიქსირება.

სამსახურმა საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში შეცდომით იქნა დაფიქსირებული დამხმარე და საცხოვრებელი ფართების ციფრობრივი მაჩვენებლები, კერძოდ: დამხმარე ფართად 466.3 კვ.მ.–ის ნაცვლად მიეთითა 458.7 კვ.მ, საცხოვრებელ ფართად 6406.00 კვ.მ.–ის ნაცვლად მიეთითა 6413.6 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სამსახურის 13.01.2015 წ. №1681789 ბრძანებაში რეკონსტრუქციის შედეგად მიღებულ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და დამხმარე ფართად 458.7 კვ.მ.–ს ნაცვლად მიეთითოს 466.3 კვ.მ, საცხოვრებელ ფართად 6413.6 კვ.მ.–ს ნაცვლად მიეთითოს 6406.00 კვ.მ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.01.2015 წ. №1681789 ბრძანებაში რეკონსტრუქციის შედეგად მიღებულ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. დამხმარე ფართად დაფიქსირდეს 466.3 კვ.მ. და საცხოვრებელი ფართად დაფიქსირდეს 6406.00 კვ.მ. აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +33.72 ნიშნულის მეთერთმეტე სართულის გეგმა ჩანაცვლდეს 10/11/2015 წ. #AR1355863 განაცხადით წარმოდგენილი შესწორებული +33.72 ნიშნულის მეთერთმეტე სართულის გეგმით;

1. სამსახურის 13.01.2015 წ. №1681789 ბრძანებაში მითითებული დანარჩენი ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;

1. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.01.2015 წ. №1681789 ბრძანებასთან ერთად;

1. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.